

# შპს აგრიმერა

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით

დასრულებული

წლისათვის

შპს აგრიმერა

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

## ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

### ფინანსური მდგომარეობა

| ფინანსური მდგომარეობა                                          | 31/12/2024     | 31/12/2023     | 31/12/2022    |
|----------------------------------------------------------------|----------------|----------------|---------------|
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები                          | 1803           | 1113           | 41036         |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                                     | 15246          | 11486          | 36638         |
| სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად<br>გაცემული ფულადი სახსრები | 300271         | 55875          | 79151         |
| მარაგები                                                       | 1186714        | 806762         | 394626        |
| მზა პროდუქცია                                                  | 594203         | 25033          | 252363        |
| სხვა                                                           | 592511         | 781729         | 142263        |
| საინვესტიციო ქონება                                            | 0              | 0              | 0             |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები                                     | 82770          | 50373          | 24371         |
| ბიოლოგიური აქტივები                                            | 0              | 0              | 0             |
| თვითღირებულების მოდელით                                        | 0              | 0              | 0             |
| გადაფასების მოდელით                                            | 0              | 0              | 0             |
| გუდვილი                                                        | 0              | 0              | 0             |
| სხვა არამატერიალური აქტივები                                   | 1907           | 2216           | 2526          |
| ძირითადი საშუალებები                                           | 165305         | 40732          | 39618         |
| ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში                              | 0              | 0              | 0             |
| ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ<br>ინსტრუმენტებში         | 0              | 0              | 0             |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები                                     | 80179          | 107116         | 111610        |
| <b>სულ აქტივები</b>                                            | <b>1834195</b> | <b>1075673</b> | <b>729576</b> |

დირექტორი: ირაკლი კუპრაშვილი

ი. 541

შპს აგრიმერა

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

### ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

#### ვალდებულებები

|                                    |                |                |                |
|------------------------------------|----------------|----------------|----------------|
| საიჯარო ვალდებულება                | 99476          | 0              | 0              |
| სავაჭრო ვალდებულებები              | 167811         | 295212         | 92835          |
| ანარიცხები                         | 0              | 0              | 0              |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ | 0              | 0              | 0              |
| საგადასახადო ვალდებულებები         | 0              | 0              | 0              |
| გამომუშავებული შემოსავალი          | 1299933        | 1251404        | 941339         |
| მოკლევადიანი ნასესხები სახსრები    | 0              | 0              | 0              |
| გრძელვადიანი ნასესხები სახსრები    | 0              | 0              | 0              |
| მიღებული გრანტები                  | 0              | 0              | 0              |
| სხვა ვალდებულებები                 | 28307          | 800            | 0              |
| <b>სულ ვალდებულებები</b>           | <b>1595527</b> | <b>1547416</b> | <b>1034174</b> |

#### საკუთარი კაპიტალი

|                                                                                                |                |                |                |
|------------------------------------------------------------------------------------------------|----------------|----------------|----------------|
| სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი',<br>კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი') | 0              | 0              | 0              |
| საემისიო შემოსავალი                                                                            | 0              | 0              | 0              |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები                                                                   | 0              | 0              | 0              |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)                                                      | 238668         | -471743        | -304598        |
| გადაფასების რეზერვი                                                                            | 0              | 0              | 0              |
| საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები                                                           | 0              | 0              | 0              |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>                                                                   | <b>238668</b>  | <b>-471743</b> | <b>-304598</b> |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b>                                                  | <b>1834195</b> | <b>1075673</b> | <b>729576</b>  |
| <b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>                                                               | <b>1574036</b> | <b>905769</b>  | <b>572224</b>  |
| <b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>                                                          | <b>1595527</b> | <b>1547416</b> | <b>1030573</b> |
| კაპიტალიზირებული განვითარების დანახარჯები                                                      | 0              | 0              | 0              |

დირექტორი: ირაკლი კუპრაშვილი



## საქმიანობის შედეგები

## საქმიანობის შედეგები

| საქმიანობის შედეგები                     | 31/12/2024       | 31/12/2023       |
|------------------------------------------|------------------|------------------|
| ნეტო ამონაგები                           | 15496094         | 10676720         |
| <b>საქონლის გაყიდვიდან</b>               | <b>15496094</b>  | <b>10676720</b>  |
| მომსახურების გაწევიდან                   | 0                | 0                |
| სამშენებლო ხელშეკრულებებიდან             | 0                | 0                |
| სხვა                                     | 0                | 0                |
| <b>გაყიდვების თვითღირებულება</b>         | <b>-14228381</b> | <b>-10560482</b> |
| საწყისი მარაგები                         | 0                | 0                |
| მარაგების შესყიდვა                       | 0                | 0                |
| გადამუშავების დანახარჯები                | 0                | 0                |
| საბოლოო მარაგები                         | 0                | 0                |
| საერთო მოგება                            | 1267713          | 116238           |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი               | 0                | 0                |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                 | -267752          | -315731          |
| ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი               | -12950           | -6723            |
| საპროცენტო შემოსავალი                    | 20956            | 16352            |
| საპროცენტო ხარჯი                         | 0                | 0                |
| იჯარის ხარჯი                             | -122034          | -107909          |
| აღმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი | -175311          | -173086          |
| სულ საოპერაციო ხარჯები                   | -557091          | -587097          |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                 | <b>710622</b>    | <b>-470859</b>   |

## გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:

|                                                                                                |               |                |
|------------------------------------------------------------------------------------------------|---------------|----------------|
| ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა                                             | 0             | 0              |
| მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა                                                       | 0             | 0              |
| სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა                                     | 0             | 0              |
| წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან | 0             | 0              |
| მიღებული დივიდენდები                                                                           | 0             | 0              |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)                                                        | -211          | -884           |
| მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან                       | 710411        | -471743        |
| მოგების გადასახადის ხარჯი                                                                      | 0             | 0              |
| <b>საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი</b>                                                  | <b>710411</b> | <b>-471743</b> |


შპს აგრიმერა

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

**სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):**

|                                                                                                                                   |               |                |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|---------------|----------------|
| ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი                                                       | 0             | 0              |
| სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები) | 0             | 0              |
| სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:                                                                                            | 0             | 0              |
| მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)                                                                                               | 710411        | -471743        |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში                                                                               | -471743       | -304598        |
| ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')               | 0             | 0              |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)                                                                                    | 0             | 0              |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში                                                                                             | 0             | 304598         |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები                                                                                                         | 0             | 0              |
| <b>საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს</b>                                                                             | <b>238668</b> | <b>-471743</b> |

დირექტორი: ირაკლი კუპრაშვილი

  
5

შპს აგრიმერა

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

### საადრიცხო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წ.

ზოგადი ინფორმაცია:

|                               |                                                                    |
|-------------------------------|--------------------------------------------------------------------|
| კომპანიის დასახელება          | შპს „აგრიმერა“                                                     |
| საიდენტიფიკაციო ნომერი        | 412746747                                                          |
| იურიდიული მისამართი           | ქუთაისი, დ. აღმაშენებლის გამზ., N 111, ბინა N 7;                   |
| ფაქტური მისამართი             | ხონი, სოფ. ივანდიდი                                                |
| რეგისტრაციის თარიღი           | 28/01/2016                                                         |
| დამფუძნებლები                 | მიხეილ ჩხენკელი- 50%<br>დავით რაფაელოვი- 50%                       |
| დირექტორი (ხელმძღვანელი პირი) | ირაკლი კუპრაშვილი                                                  |
| საქმიანობის სფერო             | ხილის და ბოსტნულის გადამუშავების და კონსერვირების<br>სხვა სახეები. |

## 1. მომზადების საფუძველი:

### (ა) წარდგენის საფუძველები


წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. კომპანია იყენებს შედავას, რომელიც დაწესებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ და არ წარმოადგენს ფულადი სახსრების ანგარიშგებას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

მსს ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები მოხდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-4 შენიშვნაში. 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული და დამტკიცებულია 2024 წლის 29 სექტემბერს.

დირექტორი: ირაკლი კუპრაშვილი



## (ბ) აღრიცხვის საფუძველი

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. კომპანიაში ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის ავტომატიზაციის მიზნით დანერგილია ბუღალტრული აღრიცხვის ელექტრონული საინფორმაციო ტექნოლოგიები, რომელიც უზრუნველყოფს ოპერაციების სინთეზურ და ანალიზურ აღრიცხვას ბუღალტრული ანგარიშების მიხედვით.

## (გ) საქმიანობის უწყვეტობა („ფუნქციონირებადი საწარმო“)

წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს არა მხოლოდ საწარმოს განზრახვას, გააგრძელოს ფუნქციონირება, როგორც ფუნქციონირებდამ საწარმომ, არამედ მისი უწყვეტი საწარმოო ფუნქციონირების უნარსაც.

## 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

### ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

#### ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა.

დირექტორი: ირაკლი კუპრაშვილი



## ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული ფულადი მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ზანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

## ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტი მოიცავს ნასყიდობის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების შემდეგ, აღირიცხება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა და შეფასება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში, მოგება-ზარალში ასახვით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში მათი ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე გასანაწილებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა მეთოდი. ცვეთის დასაშვები მეთოდებია: წრფივი მეთოდი, კლებადი ნაშთის მეთოდი და მეთოდი, რომელიც ეყრდნობა აქტივის მოსალოდნელ გამოყენებას, როგორიცაა წარმოებულ ერთეულთა მეთოდი. კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ განხორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

დირექტორი: ირაკლი კუპრაშვილი

თ. 44

ჯგუფი სასარგებლო მომსახურების ვადა

|                                         |                  |
|-----------------------------------------|------------------|
| შენობა-ნაგებობები                       | 13-დან 51 წლამდე |
| მანქანა -დანადგარები                    | 5-დან 12 წლამდე  |
| საოფისე აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი | 3-დან 10 წლამდე  |
| სატრანსპორტო საშუალებები                | 5-დან 10 წლამდე  |

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ბოლო წლიური საანგარიშგებო თარიღის შემდეგ მნიშვნელოვნად შეიცვალა ამა თუ იმ აქტივიდან მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის გამოყენების ხასიათი, საწარმომ უნდა გაანალიზოს ცვეთის არსებული მეთოდი და იმ შემთხვევაში, თუ მიმდინარე პერიოდის მოლოდინები განსხვავებულია, საწარმომ უნდა შეცვალოს აქტივის ცვეთის მეთოდი, აქტივის მოხმარების ახალი სტრუქტურის ასახვის მიზნით. აღნიშნული ცვლილება აისახება, როგორც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილება.

თუ არსებობს გაუფასურების კომპონენტები, აქტივის საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე დაუყოვნებლივ. თუ მოცემული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს.

ძირითადი საშუალებების აღიარება წყდება მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში; ან როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება წყდება. საწარმომ ასეთი სახის შემოსულობას არ უნდა მიანიჭოს ამონაგების კლასიფიკაცია.

| ანგარიში | დასახელება                          | საბალანსო ღირებულება |
|----------|-------------------------------------|----------------------|
| 2150     | მანქანა-დანადგარები                 | 99830,3              |
| 2160     | ოფისის აღჭურვილობა                  | 3364,45              |
| 2170     | ავეჯი და სხვა ინვენტარი             | 13354,66             |
| 2180     | სატრანსპორტო საშუალებები            | 26880,8              |
| 2191     | იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა | 22636,54             |
| 2590     | სხვა არამატერიალური აქტივები        | 1906,82              |
|          |                                     | <b>167973,57</b>     |

დირექტორი: ირაკლი კუპრაშვილი

წინამდებარე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს მინუს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებს შორის უმცირესი თანხით.

ნედლეული და დამხმარე მასალები, რომლებიც განკუთვნილია სასაქონლო მატერიალური მარაგების საწარმოებლად, არ ჩამოფასებულა თვითღირებულებაზე დაბლა, ვინაიდან მათი მონაწილეობით

წარმოებული მზა პროდუქცია გაიყიდება თვითღირებულების შესაბამის, ან თვითღირებულებაზე მაღალ ფასში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება მოიცავს შეძენის დანახარჯებს, გადამუშავების (კონვერსიის) დანახარჯებს და სხვა დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შეძენის დანახარჯები:

მარაგის შეძენის დანახარჯები მოიცავს: მის შეძენის (ნასყიდობის) ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (იმ გადასახადების გარდა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნონ შემდგომში), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებსა და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სავაჭრო დათმობა, სხვადასხვა სახის ფასდათმობები და სხვა ანალოგიური მუხლები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებაში.

გადამუშავების (კონვერსიის) დანახარჯები:

მარაგის გადამუშავების დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან, როგორცაა, მაგალითად პირდაპირი შრომითი დანახარჯები. ისინი მოიცავს აგრეთვე სისტემატურად გასანაწილებელ მუდმივ და ცვლად დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის, გადამუშავების პროცესში. მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც წარმოების მოცულობის ცვლილებასთან მიმართებაში უცვლელი რჩება. ესენია: ცვეთის ანარიცხები, საწარმოო შენობებისა და მოწყობილობების საექსპლუატაციო დანახარჯები, აგრეთვე საწარმოო ადმინისტრაციულ-მმართველობითი დანახარჯები. ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილების პირდაპირპროპორციულად, ან დაახლოებით პირდაპირპროპორციულად, როგორცაა, მაგალითად დანახარჯები არაპირდაპირ მასალებსა და არაპირდაპირ სამუშაო ძალაზე.

დირექტორი: ირაკლი კუპრაშვილი

კომპანია მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისათვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულას.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაიყიდება და რისკი და კონტროლი გადადის მყიდველზე. გაყიდვის შემდეგ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება, როგორც დანახარჯი იმავე პერიოდში, როდესაც აღიარდება მათი რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავალი და მაშინ, როდესაც მარაგი გაუფასურებულია.

| ანგარიში | დასახელება             | ნაშთი      |
|----------|------------------------|------------|
| 1610     | საქონელი               | 3717,88    |
| 1620     | ნედლეული და მასალები   | 0          |
| 1630     | დაუმთავრებელი წარმოება | 575166,67  |
| 1640     | მზა პროდუქცია          | 594203,46  |
|          | სულ:                   | 1173088,01 |

#### სავაჭრო და სხვა დებიტორულ/კრედიტორული დავალიანება

#### სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები არის ბიზნესის ძირითადი საქმიანობის შედეგად მომხმარებლისგან მისაღები თანხები. ზოგადად, როცა მათი დაფარვის ვადა შედგენს არაუმეტეს 30 დღეს, შესაბამისად კლასიფიცირდებიან მოკლევადიან აქტივებად. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასის ოდენობით, რომელიც უპირობოა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტებს, როდესაც მათი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით. კომპანია ფლობს სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებს იმ მიზნით, რომ მომავალში მიიღოს კონტრაქტით გათვალისწინებული ფულადი ნაკადები.

#### მოთხოვნების გაუფასურება

კომპანია რეგულარულად ამოწმებს თავის დებიტორულ დავალიანებებს გაუფასურების შეფასების მიზნით. ნებისმიერი გაუფასურების ზარალის გამოსათვლელად იგი იყენებს შეფასების საკუთარ მეთოდს, როდესაც ისტორიული მონაცემი თუ მოიპოვება და ფინანსური პრობლემები აქვსმსგავს დებიტორებთან დაკავშირებით.

დირექტორი: ირაკლი კუპრაშვილი



ამის მსგავსად, კომპანია აფასებს ცვლილებებს მომავალ ფულად ნაკადებში იმ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც მიუთითებს, რომ ჯგუფში, დებიტორების გადახდის ტაქტუსთან დაკავშირებით რადიკალური ცვლილება მოხდა, ან კიდევ ეს ცვლილება განხორციელდა ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების მხრივ,

რომელიც უკავშირდება ვალდებულების შეუსრულებლობას აქტივების ჯგუფთან დაკავშირებით. კომპანიას აქვს უიმედო დებიტორული დავალიანების რეზერვი.

### სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

სავაჭრო კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში, იგი თავდაპირველად საწყისი ღირებულებით აღიარდება, შემდეგ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები უზრუნველყოფილია და უმეტესად მათი დაფარვის ვადა შეადგენს აღიარების მომენტიდან არაუმეტეს 30 დღეს.

### ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოიცავს საბანკო ანგარიშებზე, კომპანიის სალაროში და ანგარიშვალდებულ პირზე არსებულ თანხებს, ასევე მოკლევადიან დეპოზიტებს, რომლებიც არანაკლებ სამი თვისაა.

ფულადი ნაკადების ანგარიშგებისთვის, ფულადი სახსრები ან მათი ეკვივალენტები შედგება ფულადი სახსრებისა და მოკლევადიანი დეპოზიტებისგან, მიმდინარე საბანკო ოვერდრაფტების გამოკლებით.

| ანგარიში | დასახელება                  | ნაშთი   |
|----------|-----------------------------|---------|
| 1110     | ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში | 911     |
| 1200     | ფული საბანკო ანგარიშზე      | 892,56  |
| 1430     | ანგარიშვალდებული პირები     | 1000,00 |
|          | სულ                         | 2803,56 |

დირექტორი: ირაკლი კუპრაშვილი



### საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია წესდებით და აღიარდა დამფუძნებლის შენატანის რეალური ღირებულებით.

### დივიდენდების განაწილება

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებად და აკლდება კაპიტალს მათი გამოცხადების და დამტკიცების პერიოდში. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნაში.

### მიღებული სესხები

სასესხო ვალდებულებების თავდაპირველი შეფასება ხდება რეალური ღირებულებით. საწყისი შეფასების შემდგომ, კომპანია აფასებს ყველა ფინანსურ ვალდებულებას ამორტიზებული ღირებულებით. ყველა სხვაობა მიღებულ შემოსავალსა და გამოქვითვებს შორის აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

### შემოსავლის დახარჯის აღიარება

შემოსავლების და ხარჯის აღიარებისთვის კომპანია იყენებს დარიცხვის პრინციპს.

### შემოსავლის აღიარება

შემოსავლების ასახვა ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოძინების ალბათობა მაღალია. ამასთან, შესაძლებელია შემოსავლების სანდო შეფასება მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდება გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული, ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. კომპანიამ დაასკვნა, რომ შემოსავლებთან დაკავშირებულ ყველა გარიგებაში გამოდის პრინციპალის სახით, რადგან იგი ძირითადი მოვალეა ყველა ასეთ გარიგებაში, აქვს ფასდადების მხრივ თავისუფლება და ატარებს სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურებისა და საკრედიტო რისკებს.

დირექტორი: ორკლი კუპრაშვილი




### ხარჯის აღიარება

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან, ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯების აღიარება ხდება უშუალოდ მის გაწევასთან დაკავშირებული შემოსავლების შეპირისპირების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს, ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

კომპანიის დირექტორი: ირაკლი კუპრაშვილი



მთავარი ბუღალტერი: ზალინა ხურციძე



ანგარიშის შედგენის თარიღი:

29/09/2025

# შპს აგრიმერა

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით

დასრულებული

წლისათვის

## ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

### ფინანსური მდგომარეობა

| ფინანსური მდგომარეობა                                     | 31/12/2024     | 31/12/2023     | 31/12/2022    |
|-----------------------------------------------------------|----------------|----------------|---------------|
| ფულად სახსრები და მათი ეკვივალენტები                      | 1803           | 1113           | 41036         |
| სავაჭროდ სხვა მოთხოვნები                                  | 15246          | 11486          | 36638         |
| სხვა პირებზე ავანსებად სესხებად<br>გაცემულ ფულად სახსრები | 300271         | 55875          | 79151         |
| მარგები                                                   | 1186714        | 806762         | 394626        |
| მზ პროდუქცია                                              | 594203         | 25033          | 252363        |
| სხვა                                                      | 592511         | 781729         | 142263        |
| საინვესტიციო ქონება                                       | 0              | 0              | 0             |
| სხვა მოგლევადანი აქტუვები                                 | 82770          | 50373          | 24371         |
| ბიოლოგიური აქტუვები                                       | 0              | 0              | 0             |
| თვითღირებულების მოდელი                                    | 0              | 0              | 0             |
| გადაფასების მოდელი                                        | 0              | 0              | 0             |
| გუჯილი                                                    | 0              | 0              | 0             |
| სხვა არმატორალური აქტუვები                                | 1907           | 2216           | 2526          |
| ძირითად საშუალებები                                       | 165305         | 40732          | 39618         |
| ინვესტიციები შვილობილმაპანიებში                           | 0              | 0              | 0             |
| ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ<br>ინსტრუმენტებში    | 0              | 0              | 0             |
| სხვა გრძელვადიანი აქტუვები                                | 80179          | 107116         | 111610        |
| <b>სულაქტუვები</b>                                        | <b>1834195</b> | <b>1075673</b> | <b>729576</b> |

შპს აგრიმერა

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

## ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

### ვალდებულებები

|                                    |                |                |                |
|------------------------------------|----------------|----------------|----------------|
| საიჯარო ვალდებულება                | 99476          | 0              | 0              |
| სავაჭრო ვალდებულებები              | 167811         | 295212         | 92835          |
| ანარიცხები                         | 0              | 0              | 0              |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ | 0              | 0              | 0              |
| საგადასახადო ვალდებულებები         | 0              | 0              | 0              |
| გამოქმედებელ შემოსავალს            | 1299933        | 1251404        | 941339         |
| მოგვადანის ნასესხები სახსრები      | 0              | 0              | 0              |
| გრძელვადიანი ნასესხები სახსრები    | 0              | 0              | 0              |
| მიღებულ გრანტები                   | 0              | 0              | 0              |
| სხვა ვალდებულებები                 | 28307          | 800            | 0              |
| <b>სულ ვალდებულებები</b>           | <b>1595527</b> | <b>1547416</b> | <b>1034174</b> |

### საკუთარი კაპიტალი

|                                                                                             |                |                |                |
|---------------------------------------------------------------------------------------------|----------------|----------------|----------------|
| სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატორის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი') | 0              | 0              | 0              |
| საემისიო შემოსავალი                                                                         | 0              | 0              | 0              |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები                                                                | 0              | 0              | 0              |
| გაუნაწილებელ მოგება / (დაგროვილ ზარალი)                                                     | 238668         | -471743        | -304598        |
| გადაფსების რეზერვი                                                                          | 0              | 0              | 0              |
| საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები                                                        | 0              | 0              | 0              |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>                                                                | <b>238668</b>  | <b>-471743</b> | <b>-304598</b> |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b>                                               | <b>1834195</b> | <b>1075673</b> | <b>729576</b>  |
| სულ მოგვადანი აქტუვები                                                                      | 1574036        | 905769         | 572224         |
| სულ მოგვადანი ვალდებულებები                                                                 | 1595527        | 1547416        | 1030573        |
| კაპიტალიზირებული განვითარების დანახარჯები                                                   | 0              | 0              | 0              |

დრეჟტორი: ირაკლ კუჭრშვილი \_\_\_\_\_

## საქმიანობის შედეგები

## საქმიანობის შედეგები

| საქმიანობის შედეგები                    | 31/12/2024       | 31/12/2023       |
|-----------------------------------------|------------------|------------------|
| ნეტომონაგები                            | 15496094         | 10676720         |
| <b>საქონლს გაყიდვიდან</b>               | <b>15496094</b>  | <b>10676720</b>  |
| მომსახურების გაწევიდან                  | 0                | 0                |
| სამშენებლო ხელშეკრულებიდან              | 0                | 0                |
| სხვა                                    | 0                | 0                |
| <b>გაყიდვების თვითღირებულება</b>        | <b>-14228381</b> | <b>-10560482</b> |
| საწყისი მარგები                         | 0                | 0                |
| მარგების შესყიდვა                       | 0                | 0                |
| გადმწივების დანახარჯები                 | 0                | 0                |
| საბოლოო მარგები                         | 0                | 0                |
| საერთომოგება                            | 1267713          | 116238           |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი              | 0                | 0                |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                | -267752          | -315731          |
| ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი              | -12950           | -6723            |
| საპროცენტო შემოსავალი                   | 20956            | 16352            |
| საპროცენტო ხარჯი                        | 0                | 0                |
| ოჯროს ხარჯი                             | -122034          | -107909          |
| აღმოსაქმრებელი და სხვა საოპერაციო ხარჯი | -175311          | -173086          |
| სულ საოპერაციო ხარჯები                  | -557091          | -587097          |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                | <b>710622</b>    | <b>-470859</b>   |

## გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:

|                                                                                               |               |                |
|-----------------------------------------------------------------------------------------------|---------------|----------------|
| ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა                                            | 0             | 0              |
| მარგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა                                                       | 0             | 0              |
| სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა                                    | 0             | 0              |
| წმინდა შემოსულობა / (დნაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან | 0             | 0              |
| მიღებული დივიდენდები                                                                          | 0             | 0              |
| სხვა არაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)                                                         | -211          | -884           |
| მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან                      | 710411        | -471743        |
| მოგების გადასახადის ხარჯი                                                                     | 0             | 0              |
| <b>საანგარიშგებოპერიოდის მოგება / ზარალი</b>                                                  | <b>710411</b> | <b>-471743</b> |

**სხვა სრულ შემოსავალ / (ზრდ):**

|                                                                                                                         |               |                |
|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|---------------|----------------|
| ძირითად საშუალებების (მათორის, ბიოლოგიური აქტივების) გადფასების რეზერვი                                                 | 0             | 0              |
| სხვა (მათორის წილ ეროვნული და მეკავშირე საწარმოების ურავი ქონების გადფასების რეზერვი და დღენილგადასახდელანი პროგრამები) | 0             | 0              |
| სხვა სრულ შემოსავალ / (ზრდ), სულ                                                                                        | 0             | 0              |
| მოღანი სრულ შემოსავალ / (ზრდ)                                                                                           | 710411        | -471743        |
| საკუთარი კაპიტალ საანგარიშგებოპერიოდს დასაწყისში                                                                        | -471743       | -304598        |
| ახალ აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალს გაზრდ', კოპერატვის შემთხვევაში 'საპაიოკაპიტალს გაზრდ')             | 0             | 0              |
| განაწილება მესაკუთრებზე (მათორის დვიდენდი)                                                                              | 0             | 0              |
| სხვა ცვლლებები გაზრდაწილებელმოგებაში                                                                                    | 0             | 304598         |
| კაპიტალს სხვა ცვლლებები                                                                                                 | 0             | 0              |
| <b>საკუთარი კაპიტალ საანგარიშგებოპერიოდს ბოლს</b>                                                                       | <b>238668</b> | <b>-471743</b> |

დირექტორი: ირკლ კუზრშვილი\_\_\_\_\_

შპს აგრიმერა

## სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წ.

ზოგადი ინფორმაცია:

|                               |                                                                       |
|-------------------------------|-----------------------------------------------------------------------|
| კომპანიის დასახელება          | შპს „აგრიმერა“                                                        |
| საიდენტიფიკაციო ნომერი        | 412746747                                                             |
| იურიდიული მისამართი           | ქუთაისი, დ. აღმაშენებლის გამზ., N 111, ბინა N 7;                      |
| ფაქტიური მისამართი            | ხონი, სოფ. ივანდიდი                                                   |
| რეგისტრაციის თარიღი           | 28/01/2016                                                            |
| დამფუძნებლები                 | მიხეილ ჩხენკელი- 50%<br>დავით რაფაელოვი- 50%                          |
| დირექტორი (ხელმძღვანელი პირი) | ირაკლი კუპრაშვილი                                                     |
| საქმიანობის სფერო             | ხილის და ბოსტნეულის გადამამუშავების და კონსერვირების<br>სხვა სახეები. |

## 1. მომზადების საფუძველი:

### (ა) წარდგენის საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. კომპანია იყენებს შეღავათს, რომელიც დაწესებულია ბუღალტრული აღრიცხვის , ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ და არ წარმოადგენს ფულადი სახსრების ანგარიშგებას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

მსს ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები მოხდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-4 შენიშვნაში. 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული და დამტკიცებულია 2024 წლის 29 სექტემბერს.

დირექტორი : ირაკლი კუპრაშვილი \_\_\_\_\_

## **(ბ) აღრიცხვის საფუძველი**

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. კომპანიაში ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის ავტომატიზაციის მიზნით დანერგილია ბუღალტრული აღრიცხვის ელექტრონული საინფორმაციო ტექნოლოგიები, რომელიც უზრუნველყოფს ოპერაციების სინთეზურ და ანალიზურ აღრიცხვას ბუღალტრული ანგარიშების მიხედვით.

## **(გ) საქმიანობის უწყვეტობა („ფუნქციონირებადი საწარმო“)**

წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს არა მხოლოდ საწარმოს განზრახვას, გააგრძელოს ფუნქციონირება, როგორც ფუნქციონირებდმა საწარმომ, არამედ მისი უწყვეტი საწარმოო ფუნქციონირების უნარსაც.

## **2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა**

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

### **ოპერაციები უცხოურ ვალუტაში**

#### **ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა**

წინამდებარე გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული გარდამავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა.

**დირექტორი : ირაკლი კუპრაშვილი \_\_\_\_\_**

## **ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება**

უცხოურ ვალუტაში ასახული ფულადი მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

## **ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტი მოიცავს ნასყიდობის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების შემდეგ, აღირიცხება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა და შეფასება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში, მოგება-ზარალში ასახვით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში მათი ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე გასანაწილებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა მეთოდი. ცვეთის დასაშვები მეთოდებია: წრფივი მეთოდი, კლებადი ნაშთის მეთოდი და მეთოდი, რომელიც ეყრდნობა აქტივის მოსალოდნელ გამოყენებას, როგორიცაა წარმოებულ ერთეულთა მეთოდი. კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ განხორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

**დირექტორი: ირაკლი კუპრაშვილი** \_\_\_\_\_

## ჯგუფი სასარგებლო მომსახურების ვადა

|                                         |                  |
|-----------------------------------------|------------------|
| შენობა-ნაგებობები                       | 13-დან 51 წლამდე |
| მანქანა -დანადგარები                    | 5-დან 12 წლამდე  |
| საოფისე აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი | 3-დან 10 წლამდე  |
| სატრანსპორტო საშუალებები                | 5-დან 10 წლამდე  |

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ბოლო წლიური საანგარიშგებო თარიღის შემდეგ მნიშვნელოვნად შეიცვალა ამა თუ იმ აქტივიდან მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის გამოყენების ხასიათი, საწარმომ უნდა გაანალიზოს ცვეთის არსებული მეთოდი და იმ შემთხვევაში, თუ მიმდინარე პერიოდის მოლოდინები განსხვავებულია, საწარმომ უნდა შეცვალოს აქტივის ცვეთის მეთოდი, აქტივის მოხმარების ახალი სტრუქტურის ასახვის მიზნით. აღნიშნული ცვლილება აისახება, როგორც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილება.

თუ არსებობს გაუფასურების კომპონენტები, აქტივის საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე დაუყოვნებლივ. თუ მოცემული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს.

ძირითადი საშუალებების აღიარება წყდება მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში; ან როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება წყდება. საწარმომ ასეთი სახის შემოსულობას არ უნდა მიანიჭოს ამონაგების კლასიფიკაცია.

| ანგარიში | დასახელება                             | საბალანსო ღირებულება |
|----------|----------------------------------------|----------------------|
| 2150     | მანქანა-დანადგარები                    | 99830,3              |
| 2160     | ოფისის აღჭურვილობა                     | 3364,45              |
| 2170     | ავეჯი და სხვა ინვენტარი                | 13354,66             |
| 2180     | სატრანსპორტო საშუალებები               | 26880,8              |
| 2191     | იჯარით აღებული; ი ქონების კეთილმოწყობა | 22636,54             |
| 2590     | სხვა არამატერიალური აქტივები           | 1906,82              |
|          |                                        | <b>167973,57</b>     |

დირექტორი: ირაკლი კუპრაშვილი \_\_\_\_\_

წინამდებარე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს მინუს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებს შორის უმცირესი თანხით.

ნედლეული და დამხმარე მასალები, რომლებიც განკუთვნილია სასაქონლო მატერიალური მარაგების საწარმოებლად, არ ჩამოფასებულა თვითღირებულებაზე დაბლა, ვინაიდან მათი მონაწილეობით

წარმოებული მზა პროდუქცია გაიყიდება თვითღირებულების შესაბამის, ან თვითღირებულებაზე მაღალ ფასში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება მოიცავს შეძენის დანახარჯებს, გადამუშავების (კონვერსიის) დანახარჯებს და სხვა დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შეძენის დანახარჯები:

მარაგის შეძენის დანახარჯები მოიცავს: მის შეძენის (ნასყიდობის) ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (იმ გადასახადების გარდა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნონ შემდგომში), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებსა და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სავაჭრო დათმობა, სხვადასხვა სახის ფასდათმობები და სხვა ანალოგიური მუხლები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებაში.

გადამუშავების (კონვერსიის) დანახარჯები:

მარაგის გადამუშავების დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან, როგორცაა, მაგალითად პირდაპირი შრომითი დანახარჯები. ისინი მოიცავს აგრეთვე სისტემატურად გასანაწილებელ მუდმივ და ცვლად დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის, გადამუშავების პროცესში. მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც წარმოების მოცულობის ცვლილებასთან მიმართებაში უცვლელი რჩება. ესენია: ცვეთის ანარიცხები, საწარმოო შენობებისა და მოწყობილობების საექსპლუატაციო დანახარჯები, აგრეთვე საწარმოო ადმინისტრაციულ-მმართველობითი დანახარჯები. ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილების პირდაპირპროპორციულად, ან დაახლოებით პირდაპირპროპორციულად, როგორცაა, მაგალითად დანახარჯები არაპირდაპირ მასალებსა და არაპირდაპირ სამუშაო ძალაზე.

დირექტორი : ირაკლი კუპრაშვილი \_\_\_\_\_

კომპანია მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისათვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულას.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაიყიდება და რისკი და კონტროლი გადადის მყიდველზე. გაყიდვის შემდეგ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება, როგორც დანახარჯი იმავე პერიოდში, როდესაც აღიარდება მათი რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავალი და მაშინ, როდესაც მარაგი გაუფასურებულია.

| ანგარიში | დასახელება             | ნაშთი             |
|----------|------------------------|-------------------|
| 1610     | საქონელი               | 3717,88           |
| 1620     | ნედლეული და მასალები   | 0                 |
| 1630     | დაუმთავრებელი წარმოება | 575166,67         |
| 1640     | მზა პროდუქცია          | 594203,46         |
|          | <b>სულ:</b>            | <b>1173088,01</b> |

### სავაჭრო და სხვა დებიტორულ/კრედიტორული დავალიანება

#### **სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება**

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები არის ბიზნესის ძირითადი საქმიანობის შედეგად მომხმარებლისგან მისაღები თანხები. ზოგადად, როცა მათი დაფარვის ვადა შედგენს არაუმეტეს 30 დღეს, შესაბამისად კლასიფიცირდებიან მოკლევადიან აქტივებად. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასის ოდენობით, რომელიც უპირობოა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტებს, როდესაც მათი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით. კომპანია ფლობს სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებს იმ მიზნით, რომ მომავალში მიიღოს კონტრაქტით გათვალისწინებული ფულადი ნაკადები.

#### **მოთხოვნების გაუფასურება**

კომპანია რეგულარულად ამოწმებს თავის დებიტორულ დავალიანებებს გაუფასურების შეფასების მიზნით. ნებისმიერი გაუფასურების ზარალის გამოსათვლელად იგი იყენებს შეფასების საკუთარ მეთოდს, როდესაც ისტორიული მონაცემი თუ მოიპოვება და ფინანსური პრობლემები აქვსმსგავს დებიტორებთან დაკავშირებით.

**დირექტორი:** ორაკლი კუპრაშვილი

ამის მსგავსად, კომპანია აფასებს ცვლილებებს მომავალ ფულად ნაკადებში იმ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც მიუთითებს, რომ ჯგუფში, დებიტორების გადახდის სტატუსთან დაკავშირებით რადიკალური ცვლილება მოხდა, ან კიდევ ეს ცვლილება განხორციელდა ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების მხრივ.

რომელიც უკავშირდება ვალდებულების შეუსრულებლობას აქტივების ჯგუფთან დაკავშირებით. კომპანიას აქვს უიმედო დებიტორული დავალიანების რეზერვი.

### **სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება**

სავაჭრო კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში, იგი თავდაპირველად საწყისი ღირებულებით აღიარდება, შემდეგ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები უზრუნველყოფილია და უმეტესად მათი დაფარვის ვადა შეადგენს აღიარების მომენტიდან არაუმეტეს 30 დღეს.

### **ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები**

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოიცავს საბანკო ანგარიშებზე, კომპანიის სალაროში და ანგარიშვალდებულ პირზე არსებულ თანხებს, ასევე მოკლევადიან დეპოზიტებს, რომლებიც არანაკლებ სამი თვისაა.

ფულადი ნაკადების ანგარიშგებისთვის, ფულადი სახსრები ან მათი ეკვივალენტები შედგება ფულადი სახსრებისა და მოკლევადიანი დეპოზიტებისგან, მიმდინარე საბანკო ოვერდრაფტების გამოკლებით.

| ანგარიში | დასახელება                  | ნაშთი          |
|----------|-----------------------------|----------------|
| 1110     | ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში | 911            |
| 1200     | ფული საბანკო ანგარიშზე      | 892,56         |
| 1430     | ანგარიშვალდებული პირები     | 1000,00        |
|          | სულ                         | <b>2803,56</b> |

დირექტორი: ირაკლი კუპრაშვილი \_\_\_\_\_

## საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია წესდებით და აღიარდა დამფუძნებლის შენატანის რეალური ღირებულებით.

## დივიდენდების განაწილება

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებად და აკლდება კაპიტალს მათი გამოცხადების და დამტკიცების პერიოდში. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნაში.

## მიღებული სესხები

სასესხო ვალდებულებების თავდაპირველი შეფასება ხდება რეალური ღირებულებით. საწყისი შეფასების შემდგომ, კომპანია აფასებს ყველა ფინანსურ ვალდებულებას ამორტიზებული ღირებულებით. ყველა სხვაობა მიღებულ შემოსავალსა და გამოქვითვებს შორის აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

## შემოსავლის დახარჯის აღიარება

შემოსავლების და ხარჯის აღიარებისთვის კომპანია იყენებს დარიცხვის პრინციპს.

## შემოსავლის აღიარება

შემოსავლების ასახვა ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოდინების ალბათობა მაღალია. ამასთან, შესაძლებელია შემოსავლების სანდო შეფასება მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდება გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული, ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. კომპანიამ დაასკვნა, რომ შემოსავლებთან დაკავშირებულ ყველა გარიგებაში გამოდის პრინციპალის სახით, რადგან იგი ძირითადი მოვალეა ყველა ასეთ გარიგებაში, აქვს ფასდადების მხრივ თავისუფლება და ატარებს სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურებისა და საკრედიტო რისკებს.

დირექტორი: ირაკლი კუპრაშვილი

## ხარჯის აღიარება

მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან, ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯების აღიარება ხდება უშუალოდ მის გაწევასთან დაკავშირებული შემოსავლების შეპირისპირების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს, ან შეწყვიტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

კომპანიის დირექტორი: ირაკლი კუპრაშვილი

\_\_\_\_\_

მთავარი ბუღალტერი : ზალინა ხურციძე

\_\_\_\_\_

ანგარიშის შედგენის თარიღი:

29/09/2025

